

# დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!



**საპარტვილოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო**  
**ЛЕЛО** ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ  
 26 აპრილი, 1990 წ.  
 № 161 (10 330) შპსი 3 კპპ.  
 გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დადგა დრო, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. შების მოთმანა და დაზვიანება ალბა შეიქმნება. მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში თითქმის ყველაზე იზნორირებაულია ფიზიკური კულტურის როლი და მნიშვნელობა, მივიწყებულია ოდითგანვე ჩვენი შემოუხვევადი ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა, ეროვნული თამაშობები.


რესპუბლიკაში აუცილებლად უნდა შეიქმნას ერთი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ამ საქმეს მიხედვას; აღვიღებოც უნდა გაიხსნას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბები. დღეს თითქმის ყველა პასუხისმგებელი ხალხის, მოზარდი თათბისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე, ფაქტობრივად კი, პასუხისმგებელი არავინაა. ერთ ხელში უნდა მოვუხაროთ თავი კადრებისა და სახსრებისა, უნდა გავართიანდეს სახელმწიფო და სასო. გადმოგრივი შესაქმნელობები.

„ლელოს“ რედაქციამ ორგანიზატორის ფუნქცია იკისრა ამ დიდმნიშვნელობან საქმეში.

(იხ. 80-2-3 გვ.)

საპარტვილოს  
 ეროვნული  
 ზიზღიერთა

# SOS



განაუებნი,  
 პროპაგანდისტები,  
 დია ავტოსადგომები,  
 სწავლთო გუნდები,  
 ყველსუხისმგებლები...

ფიზკულტურა, ჯანმრთელობა

## .....სოფო-გადღლი იწონება



# პროგნოზები „ოქროდ“ ძიმა

**ნაპირობა** სპორტულ შეჯიბრებას, ასპარეზობის დაწყების წინ, პროგნოზები ახლავს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წყალბურთულთა ტურნირიც არ ყოფილა გამონაკლისი. ზუსტად თუ არა, სპეციალისტებს დაახლოებით მაინც ჰქონდათ გათვლილი თითოეული გუნდის შესახებ და ვისაც ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, ეს, უპირველესად, საქართველოს, მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივები იყო. ამ სამეულს უნდა შემატებოდა ერთი გუნდი. სპეციალისტთა ვარაუდით, ვაკანსიის შევსების დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ ყაზახეთის, რსფსრ-ს, ტაჯიკეთისა და მოლდოვის გუნდებს, თუმცა, სპორტისკანონი გამორიცხავს ერთ ტურნირზე ამდენი თანაბარი ძალის გუნდს. საბოლოოდ ზომიერი მითაგანს უნდა ჰქონდეს მცირე უპირატესობა, რითაც უნდა აჯობოს დანარჩენებს. იგი ყაზახ წყალბურთელებს აღმოაჩნდათ და გამოიკვეთა კიდევ ის ოთხი კოლექტივი, რომლებიც განაგრძობდნენ ბრძოლას ოქროს მედლებისათვის.

პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოსკოვის ნაკრებმა დაამარცხა ყაზახეთის გუნდი — 7:4 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გაურკვეველი იყო მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა, რომელიც საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრას უნდა გამოეყენებინა. ჩვენმა წყალბურთელებმა ისეთი თავდაჯერებით გახლეჩეს გზა ნახევარფინალამდე, ძნელად თუ ვინმე დაეჭვებოდა მათ წარმატებაში.

მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით დაიწყო და პირველსავე წუთზე კლდისშვილმა ულამაზესი გოლი გაიტანა. შემდეგ იმავე კლდის



სურათზე: მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. დგანან (მარცხნიდან): მწვრთნელი — გელა სენიანიშვილი, არმენ ოპანენიანი, კახა თოდრია, არჩილ გეგენავა, ლევან ხორბალაძე, გიორგი კლდისშვილი, გიორგი ვაგარაძე, თინათინ გვახალია და უფროსი მწვრთნელი — გურამ ნამვალაური; სხედან (მარცხნიდან): გიორგი ჩივაძე, ვახტანგ ამხოკაძე, მიხეილ დუგლაძე, ნიკა ახათიანი, მირზა გოგიშვილი და გალაქტიონ ლათაძე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

აშვილმა, ჩივაძემ და გვარამაძემ გამოიჩინეს თავი — 4:1. ბოლოდ ამის შემდეგ შეძლო პოლოკოვსკიმ ერთი ბურთის გაქვითვა. თუმცა, დაუღალავმა ჩივაძემ კვლავ ოთხამდე გაზარდა ანგარიში სხვაობა. 5:1 — ასე დამთავრდა პირველი პერიოდი. მომდევნო ექვს წუთშიც აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩვენი სპორტსმენები მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ განწყობილნი, ამ დღეს შეუძლებელი იყო მათი შეტევების მოგერიება. ჩვენი წყალბურთელები, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ. მალე ჩივაძემ და გეგენავამ კიდევ თითო ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში, რასაც მიშველსკიმ ასევე ერთი გოლით უპასუხა. ბოლოს, როდენ

საც ხორბალაძე და გვახალია 35 წამს „ისვენებდნენ“ და ჩვენები ოთხნი დარჩნენ აუზში, პოლოკოვსკიმ გაიტანა ბურთი — 7:3; მესამე პერიოდში საქართველოს ნაკრებმა თითქმის მთლიანად მეორე შემადგენლობით თამაშა და უპირატესობა აქაც მის მხარეზე იყო — გეგენავამ და ჩივაძემ ისევ დააწინაურეს თანაგუნდელები, ხოლო პოლოკოვსკიმ ისევ შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 9:4. ბოლო ექვს წუთს, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვიტილი იყო, გეგენავამ, გვახალიამ, დუგლაძემ და ჩივაძემ „თადარიგისთვის“ ოთხი გოლი გაიტანეს. ამას მეტოქემ სამი გოლით უპასუხა და საბოლოოდ ან-

გარიშით 13:7 გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა.  
მატჩის ანგარიშში არ მოვისვენინეთ ჩვენი გუნდის მეკარეები და მცველები, რომელთა საუცხოო თამაშმა დიდად განაპირობა გამარჯვება. ქეზბის ღირსია ყველა, ვინც კი იმ დღეს სარბიელზე გამოვიდა.

**ბუშინ** საქართველოს ნაკრებმა ფინალში მოუგო მოსკოვის გუნდს — 6:4 და ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. ეს ქართველი წყალბურთელების რიგით მეხამე გამარჯვებაა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ისტორიაში.

**საპარტავლოს პროფესიული ჩემპიონატი ფეხბურთში**

„გორდა“ (რუსთაველი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0 (0:0)  
რუსთაველი „ფოთის“ სტადიონი. 24 აპრილი.

„გორდა“: მეშველი, ფირცხაღვა, ავაქიანი, კუდინოვი, ქანაშვილი, აფთიაური, ტ. კახანაძე, მერტველი, ა. კახანაძე, ფანცულაია, კილასონია (დებიტრი-შვილი).

„კოლხეთი-1913“: გვახალია, კაკაია, ქაქაია, გიორგაძე, გიგატაძე, ქორჩილაძე, თოდრია, მახარაძე, ბაგალაძე (ტყეშელაშვილი), თვარაძე, ავრამიძე (გვანია).

შეაჯები: მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია (ორივე — ლანჩუთი), ნ. კინგარაძე (ოქუტაშვილი).

**პირველი** წრის შეხვედრაში „გორდა“ ფოთში დაამარცხა „კოლხეთი-1913“ (2:0) და ექვსი არ იყო, ამჟერად ფოთელები ერთი ქულისათვის მაინც იბრძოლებდნენ.

ფოთელი ფეხბურთელები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში იშვიათად თუ გადადიოდნენ კონტრშეტევებზე. თუმცა, არც რუსთაველებს შეუწყნებიათ მეკარე გვახალია, თუ არ ჩავთვლით კილასონიას და ფანცულაიას მიერ სახიფათოდ დარტყმულ ბურთებს, რომელთაგან ამ უკანასკნელის დარტყმა ძელს მოიგვრია. ასე უშედეგოდ დასრულდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი რუსთაველების გაასრებელი და სწრაფი იერიშებით დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ფოთელთა მხრიდან საუკეთესო იყო მიკაელ გვახალია — რომ არა მისი აკრობატული ნახტობი, ფანცულაიას მიერ საკრი-

მო დარტყმის შემდეგ, ანგარიში გაიხსნებოდა. 51-ე წუთზე კი კილასონიას წამოწყებული შეტევა გოლით დაასრულა ფანცულაიამ. გატანილია ბურთმა კიდევ უფრო გაააქტიურა რუსთაველები, მაგრამ გვახალია მოწოდების სიმალეზე იდგა. მან წერა ფანცულაიასა და კილასონიას, შემდეგ კი, მეტრეველის უძლიერესი დარტყმები მოიგვრია. ასე რომ, დარჩენილ დროში შედეგი არ შეცვლილა — 1:0 გაიმარჯვა „გორდა“.

**სამედიცინო**, „ლელოს“ საქ. კორ.

„ცხუმი“ (სოსხუმი) — „მარცხალი“ (ოქუტაშვილი) 2:1 (1:0)

**სოსხუმი**. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„ცხუმი“: თორგოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, თ. სიჭინავა, მალანია (გელენავა), ივლიშვილი (გეგენავა), ჯიშკარიანი, პაპავა, გვარჯიანი, ვახტანგია, კურგენიანი.

„მარცხალი“: ზოიძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, ბერიშვილი, კალატიანი, მუგაშაძე, ჩხაიძე, კახია, ციციშვილი, კალანდაძე, ჩივაძე.

შეაჯები: ლ. ჩიხაია, თ. ლაცაბიძე, ვ. ეჭიაია (სამივე — თბილისი).

**მატჩი** მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მათ რიგებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ გვარჯიანი, ჯიშკარიანი და მალანია. შეხვედრის 29-ე წუთზე გვარჯიანმა საკრიბო დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა. 79-ე წუთზე ჯიშკარიანმა ორამდე გაზარდა ანგარიში. ამის შემდეგ სტუმრებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს და 81-ე წუთზე კალანდაძემ საპასუხოდ ბურთის გატანა შეძლო. 2:1 — ასეთი შედეგით დამთავრდა ეს სანტერესო ორთაბრძოლა.

**თინათინ** კახაიძე, „ლელოს“ საქ. კორ.

## სხვა შტაბი ბრავო და სხვა ლეოს მუხი

**ნიუ-ჯარსი**. აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის შეთხვედრებში მორიგი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა ლეოს მუხმა. მან საკმაოდ ადვილად (6:2, 6:2) დაამარცხა გამოცდილი ბულგარელი კატერინა მალეივა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ცოტათი კომიკურად გვიჩვენებ, რომ ქართველ ჩოგბურთელს ფინალში გასასვლელად ბრძოლა ისევ და ისევ მსოფლიოს „პირველ ნომერ ჩოგანთან“, დასავლეთუფერძანელ შტეფი გრაფთან მოუხდებდა. ლეოს მუხს ამ ბოლო ორი წლის მანძილზე რამდენჯერმე შეეძლო დიდი საერთაშორისო ტურნირების მოგება, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლებში მისი მოწინააღმდეგე მუდამ რომელიმე უძლიერესი ჩოგბურთელი იყო — ან შტეფი გრაფი, ან მარტინა ნავრატოვა, ან მონიკა სელუშო. პირველი ადგილი რომ დაიკავო, ცხადია, ვიღაც უძლიერესს უსათუოდ უნდა აჯობო, მაგრამ არის

შეჯიბრებები, რომლებშიც გრაფი ან ნავრატოვა არ მონაწილეობენ. ან ხომ შეიძლება, რომ მათ ნახევარფინალში კი არა, გადამწყვეტ მატჩში შეხვედრებ?

მეორე ნახევარფინალური წყვილი ამ ტურნირში ამერიკელებმა ჩენიფერ კაპრიატიმ და ზინა ჰარისონმა შეადგინეს. შემადგენლობა, როგორც ზედათ, საკმაოდ ძლიერია და როგორც არ უნდა დამთავრდეს მესხისა და გრაფის შეხვედრა, ქართველი ჩოგბურთელის რეიტინგს, ოთხეულში მოხვედრისათვის, საკმაოდ სოლიდური ქულები წაემატება.

**კომპანი (აშშ)**. გაიმართა ჩოგბურთელ ვაჟთა ტურნირის რამდენიმე მეოთხედფინალური შეხვედრა. ჯონ მაკინროემ (აშშ) დაამარცხა თანამემამულე ბრედ გილბერტი — 6:3, 6:2, გი ფორტემ (საფრანგეთი) — ანდრეს გომესი (ეკვატორი) — 6:7, 6:0, 7:5. წვიმის გამო შეწყდა შედრი ჩოგბურთელების სტეფან ელბერგისა და იონას სვენსონის ორთაბრძოლა.

## „უკრაინული სერია“

**გაქაღვაძე** ახალგაზრდა ჩოგბურთელთა გამოსვლის „სერია“ უკრაინის კორტებზე. როგორც ცნობილია, ჯერ უუფროდმა უმასპინძლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ტურნირს, მერე კი ახალგაზრდა ჩოგბურთელები (1976-1977 წლებში დაბადებულთა საკავშირო პირველობა) მიიღო კიევაში. უკრაინის დედაქალაქის კორტებზე განსაკუთრებით ისახილა თავი ნინო ლუარსაბიშვილმა („შეგარდენი“). მან ორი გამარჯვება

მოიპოვა — ერთეულთა თანრიგში და წყვილებში — ეკა წიწუაშვილთან („დინამო“) ერთად.

წარმატებით გამოხატა იოსებ სიამაშვილიც („დინამო“), რომელიც ერთეულთა თანრიგში მეორე იყო, ხოლო „დუეტებში“ (სიმფეროპოლ ანდრეი იურკოვსკისთან ერთად) — უძლიერესი. დადუმატებთ, რომ ზემოხსენებულ ჩოგბურთელებს ავარჯიშებენ მწვრთნელები: გურამ თოხაძე, გიორგი

## ქიუდო

**ქიუდო** — მებრძოლთა სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. ამასთან, ჰაბუკო ფალანგი მასწავლებელს ლამაზ, ტექნიკურ კიბობასაც უჩვენებენ. მათ ყოველ გამოსვლას სპეციალისტებიც დიდი ყურადღებით და ინტერესით ადევნებენ თავს.

ასპარეზობის მესამე დღეს ორი ქართველი ძიუდოსტი ასპარეზობდა და ორივე — 68 კგ წონით კატეგორიაში. თბილისელმა ალექსანდრე ლვინიაშვილმა პირველ წრეში ლინიგრაფელ ვ. ბაკულის მოუგო ეფექტური ილუთით, რომელიც „იონიონი“ შეფასდა. მეორე წრეში ლინიგრაფელმა მოჭიდავემ უარი განაცხადა მასთან შეხვედრაზე და ლვინიაშვილს მხოლოდ ერთი მოგება და სჭირდებოდა ფინალში გასასვლელად. მისი მომდევნო მეტოქე ყაზახეთის გუნდის წევრი ლ. იუსუპოვი გახლდათ, რომელმაც მხოლოდ 24 წამს შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. ალექსანდრე ლვინიაშვილმა ულამაზესი ფანდი გამოიყენა და მსაჯებმა უყოყმანოდ ასწიეს ხელი — „იონიონი“! აშკარა იყო, მათაც ვერ დამალეს აღტაცება.

ამბეტელი მამუკა ლუზარაულიც წინდა გამარჯვებით მიიწვიდა წინ და მანაც ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ასე რომ, მასწავლებელი „ქართული ფინალის“ მოწვევას დაელოდა. ფინალში ა. ლვინიაშვილმა იმარჯვა — მან ოქროს მედალი დაიმსახურა, მ. ლუზარაულმა — „ვერცხლი“.

გოგობს შორის ამ დღეს ასპარეზობდა გორელი ნანი მირუაშვილი, მანაც წინდა გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა. აქვე გვინდა გითხროთ, რომ ნანიმ მეორე წრის შეხვედრა სულ რაღაც ხუთ (!) წამში დაასრულა თავის სასარგებლოდ. ფინალში მისი მეტოქე ლინიგრაფელი ა. ნაუმოვა გახლდათ. ვინც საშბისთა ასპარეზობას ადევნებდა თავს, ალბათ, ახსოვს ეს გოგონა — იგი იქაც ასპარეზობდა. მირუაშვილს არც ფინალი გაუგრძელებია დიდხანს, 17 წამში სძლია მეტოქეს და ოქროს მედალს დაეუფლა.

## გია ბარაული

### გუგინი...

**კვლავ** წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა. სპარტაკიადის ძიუდოსტთა ტურნირის ბოლო დღეს 85 კგ წონით კატეგორიაში თელაველმა მამუკა ბოტკოველმა ოქროს მედალს მოიპოვა. მისმა თანაგუნდელმა და თანაქალაქელმა ლევან ჭაფარიძემ კი მძიმე წონაში გაიმარჯვა.

გოგობს შორის ქვევლამ ენძელა სოლოლაშვილმა 72 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა გამარჯვება. შაკა ვოხეიშვილმა (86 კგ) და ნინო მარჯანიშვილმა (72 კგ) ვერცხლის, ხოლო თეა დონდუშაშვილმა და ნინო ქუციაშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს ქაბუჯთა ნაკრებმა 271 ქულით, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო გოგონის ნაკრები 225 ქულით მეორე ადგილზეა.

ლარიაშვილი და ბადრი ბაზაშვილი.

ამჟამად ქართველი ჩოგბურთელები („დინამოს“ ახალგაზრდული ნაკრები) ისევ უკრაინაში იმყოფებიან — კვლავ უუფროდის კორტებზე ცდიან ძალას სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე.

„ლელო“ კორ.

**რედაქტორი**  
**თინათინ კახაიძე**